



აღმოსავლეთ ევროპის
უნივერსიტეტი (EEU)

**სტრატეგიული
განვითარების გეგმა
2026-2032**

პრეამბულა 4

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის ისტორია და მიღწევები..... 4

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის რექტორის გზავნილი 7

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის სტრატეგია 2026–2032 8

უნივერსიტეტის მისია ხედვა და ღირებულებები 9

 მისია..... 9

 ხედვა..... 9

 ღირებულებები 10

სტრატეგიული პრიორიტეტები 11

 I. ძირითადი სტრატეგიული პრიორიტეტები 11

 II. გამჭოლი სტრატეგიული პრიორიტეტები 12

 I. სტუდენტზე ორიენტირებული სწავლის, სწავლებისა და ინკლუზიური საუნივერსიტეტო
 გამოცდილების განვითარება 13

 II. კვლევის ხარისხის, ინოვაციისა და აკადემიური პროდუქტიულობის ზრდა და პრიორიტეტული
 სამეცნიერო მიმართულებების გაძლიერება 14

 III. საზოგადოებრივი ჩართულობის, პარტნიორობისა და სოციალური პასუხისმგებლობის
 გაფართოება და უნივერსიტეტის საზოგადოებრივ კეთილდღეობაზე ორიენტირებული როლის
 გაძლიერება..... 16

 III. გამჭოლი სტრატეგიული პრიორიტეტები 18

 IV. ციფრული შესაძლებლობების განვითარება და მდგრადი ინფრასტრუქტურის
 უზრუნველყოფა 18

 V. ინტერნაციონალიზაციის გაღრმავება, საერთაშორისო პოზიციონირებისა და ინსტიტუციური
 მიმზიდველობის ზრდა..... 20

<i>სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია</i>	22
პირველი ეტაპი – მოსამზადებელი აქტივობები:	22
მეორე ეტაპი – სტრატეგიული პროექტების შემუშავება:.....	22
მესამე ეტაპი – კონსულტაცია და საბოლოო რედაქცია:.....	22
სტრატეგიული განვითარების გეგმის შესრულების მონიტორინგი:.....	22
დანართები:.....	23
<i>SWOT ანალიზი</i>	24
<i>სტრატეგიული გეგმის საკვანძო ნიშნულები</i>	27

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის ისტორია და მიღწევები

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი (EEU), როგორც კერძო სამართლის იურიდიული პირი, 2012 წელს დაარსდა და მალევე ჩამოყალიბდა საქართველოს უმაღლესი განათლების სივრცეში ერთ-ერთ ხარისხზე ორიენტირებულ და დინამიურად განვითარებად ინსტიტუციად. უნივერსიტეტმა ფუნქციონირება დაიწყო ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამებით, ხოლო უკვე 2015 წლიდან მოიპოვა სადოქტორო პროგრამების განხორციელების უფლება და ჩამოყალიბდა სამსაფეხურიან უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებად. აღნიშნული ევოლუცია ასახავს ინსტიტუციური განვითარების მაღალ ტემპს, სტრატეგიულ თანმიმდევრულობასა და ხარისხზე ორიენტირებულ მმართველობით კულტურას.

დღეისათვის EEU წარმოადგენს მრავალპროფილურ აკადემიურ სივრცეს, რომელიც აერთიანებს ოთხ ძირითად ფაკულტეტს:

- **იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებათა**
- **ბიზნესისა და ინჟინერიის**
- **განათლების მეცნიერებების**
- **ჯანდაცვის მეცნიერებების**

უნივერსიტეტი ახორციელებს 24 აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამას უმაღლესი განათლების სამივე საფეხურზე, მათ შორის ინგლისურენოვან პროგრამებს ჯანდაცვის, ბიზნესის და განათლების მიმართულებებზე, კერძოდ, დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიან და საექთნო საქმის საბაკალავრო პროგრამებს, ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებს, განათლების მეცნიერებების სადოქტორო პროგრამას, რაც თავის მხრივ, ზრდის უნივერსიტეტის საგანმანათლებლო შეთავაზებების საერთაშორისო კონკურენტუნარიანობას. სტუდენტური კონტინგენტი მრავალფეროვანია და მოიცავს როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო სტუდენტებს ევროპის, აზიისა და სხვა რეგიონებიდან, რაც უნივერსიტეტის აკადემიურ გარემოს ინტერკულტურულ და გლობალურად ორიენტირებულს ხდის.

უნივერსიტეტის ერთ-ერთ მთავარ ძლიერ მხარეს მაღალკვალიფიციური აკადემიური პერსონალი წარმოადგენს, რომელთა შორის მნიშვნელოვანი ნაწილი ფლობს დოქტორის აკადემიურ ხარისხს.

სწავლებისა და კვლევის ინტეგრაციის პრინციპზე დაფუძნებული საგანმანათლებლო მოდელი უზრუნველყოფს ცოდნის შექმნისა და გავრცელების თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამისობას.

ინტერნაციონალიზაცია EEU-ს განვითარების სტრატეგიის საკვანძო მიმართულებაა. უნივერსიტეტი თანამშრომლობს 50-ზე მეტ საერთაშორისო პარტნიორ უნივერსიტეტთან და 20-მდე საერთაშორისო ორგანიზაციის წევრია, რაც ერთობლივი პროგრამების, აკადემიური მობილობისა და კვლევითი თანამშრომლობისთვის ფართო შესაძლებლობებს ქმნის. EEU არის ისეთი ავტორიტეტული საერთაშორისო გაერთიანებების წევრი, როგორებიცაა European University Association (EUA), EUA Council for Doctoral Education; Advance HE (UK Academy of Higher Education); World Health Organization (WHO), European Law Faculties Association (ELFA), World Education Services (USA); Vitae (Realizing the potential of researchers, UK); და ა.შ., რაც ადასტურებს უნივერსიტეტის ინტეგრაციას ევროპულ საგანმანათლებლო და კვლევით სივრცეში. უნივერსიტეტი აქტიურად ავითარებს გაცვლით პროგრამებსა და ერთობლივი ჩართულობით საერთო აქტივობებს ევროპის პარტნიორ ინსტიტუციებთან, როგორიცაა Middlesex University (UK), Sorbonne University (FRA), Institute of Education (UCL, UK), University of Upper Austria (Linz, Austria), Aschaffenburg University of Applied Sciences (Germany), Tuscia University (Italy) და ა.შ., ასევე 2015 წლიდან სისტემატურად მონაწილეობს Erasmus+ პროგრამებში.

ინფრასტრუქტურული განვითარება EEU-ს სტრატეგიული პროგრესის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინდიკატორია. თანამედროვე, ევროპულ სტანდარტებზე მორგებული კამპუსი აერთიანებს სასწავლო, ადმინისტრაციულ და კვლევით სივრცეებს, ბიბლიოთეკას, სტუდენტურ და რეკრეაციულ ზონებს. შთამბეჭდავია პროგრესი ჯანდაცვის მიმართულებით: უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული საუნივერსიტეტო კლინიკა „ღია გული – საუნივერსიტეტო ჰოსპიტალი“ და ამასთან ერთად, თანამედროვე კლინიკური უნარების ცენტრი (OSCE სივრცე, სიმულაციური ლაბორატორიები, 3D ანატომიური ტექნოლოგიები,) ქმნის პრაქტიკაზე ორიენტირებული სწავლების უნიკალურ ეკოსისტემას რეგიონში.

აღსანიშნავია, EEU-ში კვლევითი საქმიანობის მხარდაჭერის სისტემიზაციამ შედეგებში მნიშვნელოვანი პროგრესი აჩვენა, რაც გამოიხატება ერთის მხრივ სპეციალიზებული კვლევითი ცენტრების აქტიური საქმიანობით, ასევე საუნივერსიტეტო გამოცემების სიმრავლით, ჩატარებული საერთაშორისო ერთობლივი სამეცნიერო კონფერენციების ხარისხითა და რაოდენობით, უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის პუბლიკაციებისა და ციტირების მაჩვენებლების გაზრდით. საგრძნობლად გაიზარდა მოპოვებული გრანტებისა და შიდა საუნივერსიტეტო გრანტების რაოდენობა, ასევე აღნიშნულ შედეგებზე გავლენა იქონია უნივერსიტეტში დანერგილი სამეცნიერო საქმიანობის მხარდაჭერი მექანიზმების გასაუმჯობესებლად მნიშვნელოვნად გაზრდილმა შიდა დაფინანსებებმა (საგრანტო და კვლევითი საქმიანობის ფინანსური მოტივაციის ბონუს სისტემა, სამეცნიერო გამოცემების, პუბლიკაციების და საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობის მხარდაჭერა და სხვა).

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტში სტუდენტური სერვისები ჩამოყალიბებულია როგორც ინტეგრირებული, სტუდენტზე ორიენტირებული მხარდაჭერის სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს აკადემიურ, პროფესიულ და პიროვნულ განვითარებას. ბოლო წლებში მნიშვნელოვნად გაძლიერდა საკონსულტაციო, ციფრული და ადმინისტრაციული სერვისები, განვითარდა კარიერული მხარდაჭერის მექანიზმები, გაფართოვდა სტუდენტთა ჩართულობა კვლევით და საგანმანათლებლო აქტივობებში, დაინერგა მრავალფეროვანი ფინანსური და სოციალური მხარდაჭერის ინსტრუმენტები, განვითარდა ხელმისაწვდომობასა და სტუდენტთა კეთილდღეობაზე მიმართული სერვისები, გაიზარდა საერთაშორისო შესაძლებლობები. აღნიშნული პროგრესი ეფუძნება სტუდენტთა საჭიროებებზე, უკუკავშირსა და ხარისხის უწყვეტ გაუმჯობესებაზე ორიენტირებულ მართვას.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფისა და საერთაშორისო აღიარების მნიშვნელოვანი მიღწევაა საერთაშორისო აკრედიტაციის წარმატებით გავლა. გერმანული აკრედიტაციის სააგენტოს (ACQUIN) მიერ ექვს საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა საერთაშორისო აკრედიტაცია, მათ შორის საქართველოში პირველად - სამართლის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებსა და ინგლისურენოვან საექონო საქმის პროგრამას. აღნიშნული ფაქტი წარმოადგენს უნივერსიტეტის აკადემიური ხარისხის, ინსტიტუციური სანდოობისა და საერთაშორისო სტანდარტებთან (ESG) შესაბამისობის მკაფიო დადასტურებას.

წინამდებარე სტრატეგიული განვითარების გეგმა (2026–2032) ეფუძნება უნივერსიტეტის მისიას, ხედვასა და ღირებულებებს და მიზნად ისახავს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის თანამედროვე, ხარისხზე ორიენტირებულ, საერთაშორისო დონეზე კონკურენტუნარიან და მაღალი რეპუტაციის მქონე ინსტიტუციად ჩამოყალიბებას.

ამგვარად, EEU აგრძელებს განვითარებას, როგორც ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრირებული, ინოვაციური და ღირებულებებზე დაფუძნებული უნივერსიტეტი, რომლის მიზანია ხარისხზე ორიენტირებული ცოდნის შექმნა, გავრცელება და საზოგადოებრივი კეთილდღეობის განმტკიცებაში საკუთარი კონტრიბუციის შეტანა.

ადმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის რექტორის გზავნილი

ადმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტში ჩვენ ვაფასებთ აკადემიურ ხარისხს, ინოვაციას და საზოგადოების წინაშე პასუხისმგებლობას.

წარმოგიდგინებ ჩვენი უნივერსიტეტის **ახალ სტრატეგიული განვითარების გეგმას (2026-2032 წწ)**, რომელიც არ არის მხოლოდ დოკუმენტი - ეს არის შედეგი მრავალმხრივი დიალოგისა, რომელიც შექმნილია დაინტერესებული მხარეების მაღალი ჩართულობით: სტუდენტები, აკადემიური პერსონალი, ადმინისტრაცია და პარტნიორები აქტიურად მონაწილეობდნენ სტრატეგიის ყველა ეტაპის განხილვაში, იდეების გენერირებასა და პრიორიტეტების განსაზღვრაში.

როგორც სტრატეგიის ჯგუფის ხელმძღვანელი, ვიღებ პასუხისმგებლობას, სტრატეგიის შესრულება იყოს გამჭვირვალე და გაზომვადი.

ჩვენი მიზანია, თითოეულმა სტუდენტმა იგრძნოს, რომ სწავლება უნივერსიტეტში არის **სტუდენტზე ორიენტირებული, შედეგებზე დაფუძნებული და ხელს უწყობს მომავლის უნარების განვითარებას. ჩვენ ავამაღლებთ კვლევით აქტივობებს, ვვგებთ ინოვაციური პროექტების გაძლიერებას და სამეცნიერო ცოდნის პრაქტიკულად გარდაქმნას.**

მიზნების მიღწევა არის ურთიერთქმედითი პროცესის შედეგი, სადაც თითოეული უნივერსიტეტელი თამაშობს აქტიურ როლს ხარისხის კულტურის დანერგვა-განვითარებაში. სწორედ თქვენი კონტრიბუცია, ინიციატივა და შემოქმედებითი ხედვა განსაზღვრავს უნივერსიტეტის რეალურ სოციალურ და გლობალურ გავლენას.

ჩვენი სტრატეგია მიმართულია როგორც მაღალი ხარისხის სწავლებასა და კვლევის პროცესის უზრუნველსაყოფად, ასევე დინამიური, ინკლუზიური და მონაწილეობით გარემოს შექმნისკენ, სადაც ყველა ხმა მნიშვნელოვანია, ყველა იდეა დაფასებულია და ყველა ინიციატივა შეიძლება რეალურ შედეგში გადაიხარდოს.

მადლობას გიხდით, რომ ხართ ჩვენი გუნდის ნაწილი. მჯერა, რომ ჩვენ ერთად მივაღწევთ უმაღლეს სტანდარტებს სწავლებაში, კვლევაში და მნიშვნელოვან წვლილს შევიტანთ საზოგადოების განვითარებაში.

რექტორი

დავით ჩერქეზიშვილი

ადმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის 2026–2032 წლების სტრატეგიული გეგმა წარმოადგენს დაინტერესებული მხარეების ჩართულობით შემუშავებულ მძლავრ ინსტრუმენტს, რომელიც განსაზღვრავს უნივერსიტეტის განვითარების მიმართულებებს, პრიორიტეტებსა და მიზნებს უახლოესი შვიდწლიანი პერიოდის განმავლობაში. დოკუმენტი ეფუძნება უნივერსიტეტის მნიშვნელოვან მიღწევებს, გამოცდილებას მაღალი ხარისხის სწავლების, კვლევისა და ინოვაციის სფეროში, ასევე საერთაშორისო სტანდარტებსა და საუკეთესო პრაქტიკების ანალიზს. სტრატეგია ასახავს ჩვენს სტუდენტებზე, აკადემიურ პერსონალზე, ადმინისტრაციაზე და პარტნიორებზე დაფუძნებულ ხედვას, სადაც თითოეული მხარე აქტიურად მონაწილეობს უნივერსიტეტის განვითარებაში. კონკრეტული KPI-ები, ინიციატივები და პროცედურები უზრუნველყოფენ უნივერსიტეტის განვითარების უწყვეტობას, გამორჩეულობას და მდგრადობას.

სტრატეგიული გეგმა აერთიანებს:

- აკადემიურ, კვლევით მიზნებსა და უნივერსიტეტის როლს საზოგადოების, ინდუსტრიის და გლობალური აკადემიური სივრცის მიმართ;
- სტრატეგიულ მიზნებს, სტრატეგიულ ინიციატივებს და KPI-ებს, რომლებიც საშუალებას გვაძლევს შედეგები იყოს გამჭვირვალე, გაზომვადი და რეგულარულად შეფასებადი;
- დინამიკურ პროცესს, რომელიც საშუალებას იძლევა სტრატეგია პერიოდულად გადაიხედოს და ადაპტირდეს რეალური გამოწვევებისა და შესაძლებლობების შესაბამისად;
- ინკლუზიურ და მონაწილეობით მიდგომას, სადაც ყველა დაინტერესებული მხარე - სტუდენტები, აკადემიური პერსონალი, ადმინისტრაცია და პარტნიორები - არის აქტიური თანამონაწილე.

წინამდებარე დოკუმენტი ასახავს უნივერსიტეტის ხაზგასმულ პრიორიტეტებს:

ძირითადი სტრატეგიული პრიორიტეტები

- I. სტუდენტზე ორიენტირებული სწავლის, სწავლებისა და ინკლუზიური საუნივერსიტეტო გამოცდილების განვითარება;
- II. კვლევის ხარისხის, ინოვაციისა და აკადემიური პროდუქტიულობის ზრდა და პრიორიტეტული სამეცნიერო მიმართულებების გაძლიერება;
- III. საზოგადოებრივი ჩართულობის, პარტნიორობისა და სოციალური პასუხისმგებლობის გაფართოება და უნივერსიტეტის საზოგადოებრივ კეთილდღეობაზე ორიენტირებული როლის გაძლიერება;

გამჭოლი სტრატეგიული პრიორიტეტები

- I. ციფრული შესაძლებლობების განვითარება და მდგრადი ინფრასტრუქტურის უზრუნველყოფა;
- II. ინტერნაციონალიზაციის გაღრმავება, საერთაშორისო პოზიციონირებისა და ინსტიტუციური მიმზიდველობის ზრდა;

უნივერსიტეტის მისია ხედვა და ღირებულებები

მისია

სწავლებისა და კვლევის განუყოფლობა, საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილებასა და ინოვაციურ მიდგომებზე დაფუძნებით, ქართულ და მსოფლიოს კულტურულ ღირებულებებზე ორიენტირებული საგანმანათლებლო გარემოს შექმნა-განვითარება.

უნივერსიტეტის სტუდენტებისა და პერსონალის მხარდაჭერა აკადემიური და პიროვნული განვითარებისა და სამოქალაქო წარმატების მიღწევაში მაღალი ხარისხის სწავლებისა და სამეცნიერო კვლევების უზრუნველსაყოფად.

საკუთარი წვლილის შეტანა ქართული და საერთაშორისო საზოგადოების აკადემიური განათლებისა და ღირსების დამკვიდრებაში.

ხედვა

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი საერთაშორისო დონეზე აღიარებული იქნას, როგორც ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრირებული და უმაღლესი განათლების სფეროში ლიდერი დაწესებულება საქართველოში. უზრუნველყოს კვლევითი პოტენციალის განვითარება და კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება, განავითაროს სტუდენტებსა და პერსონალში დემოკრატიული პრინციპები და სამოქალაქო პასუხისმგებლობა.

ღირებულებები:

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი, საკუთარი საქმიანობისას ხელმძღვანელობს საგანმანათლებლო პროცესში ჩართული პირების საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და სტრატეგიული განვითარების პროცესს ახორციელებს შემდეგ ღირებულებებზე დაყრდნობით:

- **ერთიანობა** - ჩვენი სწრაფვა, ვიყოთ ისეთი უნივერსიტეტი, სადაც პროფესორ-მასწავლებლები, ადმინისტრაციული პერსონალი და სტუდენტები საერთო ძალისხმევით ცდილობენ განახორციელონ უნივერსიტეტის ხედვითა და მისიით დასახული მიზნები.
- **პატივისცემა** - ჩვენი დამოკიდებულება ერთმანეთის, ფართო საზოგადოებისა და ისეთი პრინციპების მიმართ, როგორცაა: თანასწორობა, ანგარიშვალდებულება, სამართლიანობა და ეთიკურობა. ამასთანავე, დაფასებული და აღიარებული იქნება საუნივერსიტეტო საზოგადოების ყოველი წევრის ღვაწლი, მათი პიროვნული და აკადემიური თავისუფლება.
- **თანაგრძნობა** - ჩვენი დამოკიდებულება, რომელიც ორიენტირებულია/მიმართულია სოციალური უსამართლობის, გულგრილობის აღმოფხვრისა და სამართლიანი საზოგადოების დამკვიდრებისკენ.
- **მხარდაჭერა** - ხელს ვუწყოთ როგორც ერთმანეთის, ასევე სტუდენტების პიროვნულ და პროფესიულ ზრდას, საზოგადოების სოციალურ-კულტურულ განვითარებასა და ჰუმანისტური ღირებულებების დამკვიდრების პროცესს. ვახდენთ ინდივიდუალური ინტერესებისა და სპეციალური საჭიროებების გათვალისწინებას.
- **კეთილსინდისიერება** - ჩვენი საქმიანობის უმნიშვნელოვანეს პრინციპს წარმოადგენს კეთილსინდისიერება აკადემიურ და კვლევით საქმიანობაში, რითაც უზრუნველყოფთ საუნივერსიტეტო საზოგადოებაში პასუხისმგებლობის, ნდობის, სამართლიანობის და ღირსების შეგრძნებას.
- **აზროვნებისა და გამოხატვის თავისუფლება** - ერთგულნი ვართ აკადემიური და პიროვნული თავისუფლების ფუნდამენტური პრინციპებისადმი და ჩვენი ძალისხმევა მიმართულია, შევქმნათ ამ პრინციპების განხორციელებისთვის საჭირო გარემო და პირობები;
- **თანამშრომლობა და კეთილგანწყობა** - კეთილგანწყობაზე დამყარებული თანამშრომლობით ვცდილობთ როგორც საუნივერსიტეტო საზოგადოებაში, ასევე პარტნიორებთან ურთიერთობისას ეფექტიანი და ურთიერთსარგებლიანი შედეგების მიღწევას.

სტრატეგიული პრიორიტეტები

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი 2026–2032 წლებში საქმიანობას წარმართავს მკაფიოდ განსაზღვრული სტრატეგიული პრიორიტეტების ფარგლებში, რომლებიც ასახავს უნივერსიტეტის განვითარების ძირითად მიმართულებებს და უზრუნველყოფს მისი მისიისა და ხედვის თანმიმდევრულ განხორციელებას.

სტრატეგიული პრიორიტეტები დაყოფილია ძირითად და გამჭოლ მიმართულებებად, რაც უზრუნველყოფს როგორც ინსტიტუციური განვითარების ფოკუსირებულობას, ისე ყველა პროცესში ინტეგრირებულ, ჰოლისტურ მიდგომას.

I. ძირითადი სტრატეგიული პრიორიტეტები

უნივერსიტეტის განვითარების ბირთვს წარმოადგენს შემდეგი ძირითადი მიმართულებები:

- **სტუდენტზე ორიენტირებული სწავლის, სწავლებისა და ინკლუზიური საუნივერსიტეტო გამოცდილების განვითარება** – მაღალი ხარისხის, სტუდენტზე ორიენტირებული განათლების უზრუნველყოფა, ინკლუზიური და თანასწორი სასწავლო გარემოს განვითარება. სტუდენტთა აკადემიური, პიროვნული და პროფესიული განვითარების ხელშეწყობა. ასევე, ინკლუზიური, თანასწორი, უსაფრთხო და მხარდამჭერი საუნივერსიტეტო გარემოს გაძლიერება. თანამედროვე პედაგოგიკური მიდგომებისა და სწავლების ეფექტიანი პრაქტიკების განვითარება.
- **კვლევის ხარისხის, ინოვაციისა და აკადემიური პროდუქტიულობის ზრდა და პრიორიტეტული სამეცნიერო მიმართულებების გაძლიერება** – უნივერსიტეტის კვლევითი პოტენციალის სისტემური გაძლიერება, კვლევის ხარისხისა და აკადემიური პროდუქტიულობის ზრდა. საერთაშორისო რეფერირებად და მაღალი გავლენის მქონე სამეცნიერო შედეგების ზრდა, ინოვაციური საქმიანობისა და ინტერდისციპლინური თანამშრომლობის ხელშეწყობა. უნივერსიტეტისთვის პრიორიტეტული სამეცნიერო მიმართულებების მიზნობრივი განვითარება და ახალგაზრდა მკვლევართა მხარდაჭერა.
- **საზოგადოებრივი ჩართულობის, პარტნიორობისა და სოციალური პასუხისმგებლობის გაფართოება და უნივერსიტეტის საზოგადოებრივ კეთილდღეობაზე ორიენტირებული როლის გაძლიერება** – უნივერსიტეტის, როგორც საზოგადოებრივ განვითარებაზე პასუხისმგებელი ინსტიტუციის როლის გაძლიერება და მისი მესამე მისიის ეფექტიან განხორციელება. რაც თავის მხრივ მოიცავს საზოგადოებასთან, საჯარო, კერძო და სამოქალაქო სექტორის ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გაფართოებას, უნივერსიტეტის ცოდნის, გამოცდილებისა და რესურსების საზოგადოებრივი საჭიროებების საპასუხოდ გამოყენებას, სოციალური პასუხისმგებლობის

პრინციპების გაღრმავებას და ისეთი ინიციატივების ხელშეწყობას, რომლებიც საზოგადოებრივ კეთილდღეობას, მდგრად განვითარებასა და პოზიტიურ სოციალურ ზეგავლენას მოემსახურება.

II. გამჭოლი სტრატეგიული პრიორიტეტები

ძირითადი პრიორიტეტების განხორციელება უზრუნველყოფილია შემდეგი გამჭოლი მიმართულებების ინტეგრაციით:

- **ციფრული შესაძლებლობების განვითარება და მდგრადი ინფრასტრუქტურის უზრუნველყოფა** – სწავლების, კვლევის, მმართველობისა და ადმინისტრაციული პროცესების ციფრული ტრანსფორმაციის ხელშეწყობა, თანამედროვე ტექნოლოგიური გადაწყვეტილებების დანერგვა და ციფრული სერვისების განვითარება. უნივერსიტეტის ფიზიკური და ციფრული ინფრასტრუქტურის ეტაპობრივი, მდგრად და საჭიროებებზე მორგებული უსაფრთხო, ხელმისაწვდომი და თანამედროვე გარემოს განვითარება, რომელიც უზრუნველყოფს ინსტიტუციური საქმიანობის ეფექტიანობასა და გრძელვადიან მდგრადობას.
- **ინტერნაციონალიზაციის გაღრმავება, საერთაშორისო პოზიციონირებისა და ინსტიტუციური მიმზიდველობის ზრდა** – გლობალურ აკადემიურ სივრცეში უნივერსიტეტის ინტეგრაციის გაძლიერება და საერთაშორისო რეპუტაციის ამაღლება. რომელიც მოიცავს საერთაშორისო პარტნიორების, აკადემიური და კვლევითი თანამშრომლობისა და საერთაშორისო მობილობის გაფართოებას, ერთობლივი ინიციატივების ხელშეწყობას, ასევე უნივერსიტეტის ინსტიტუციური მიმზიდველობის ზრდას, როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონეზე.

სტრატეგიის განხორციელების პროცესში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება თანასწორობის, მრავალფეროვნებისა და ინკლუზიის (EDI) პრინციპების სისტემურ ინტეგრაციას. აღნიშნულის უზრუნველსაყოფად, უნივერსიტეტმა შეიმუშავა 2026–2032 წლების თანასწორობის, მრავალფეროვნებისა და ინკლუზიის სტრატეგია, რომელიც წარმოადგენს წინამდებარე სტრატეგიული გეგმის განუყოფელ ნაწილს.

EDI სტრატეგია განსაზღვრავს უნივერსიტეტის ხედვას, მიზნებსა და პრინციპებს აღნიშნულ სფეროში, ასევე მოიცავს განხორციელების კონკრეტულ მექანიზმებს, ინდიკატორებს, პასუხისმგებელ სტრუქტურებსა და მონიტორინგის სისტემას. მისი მიზანია ინკლუზიური, სამართლიანი და ხელმისაწვდომი აკადემიური გარემოს ეტაპობრივი განვითარება, რაც უზრუნველყოფს უნივერსიტეტის ყველა წევრისთვის თანაბარ შესაძლებლობებს და სრულფასოვან ჩართულობას.

I. სტუდენტზე ორიენტირებული სწავლის, სწავლებისა და ინკლუზიური საუნივერსიტეტო გამოცდილების განვითარება

მიზანი

უნივერსიტეტი მიზნად ისახავს მაღალი ხარისხის, სტუდენტზე ორიენტირებული და შედეგებზე დაფუძნებული სწავლების სისტემის განვითარებას, რომელიც უზრუნველყოფს თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამის განათლებას, მომავლის უნარების ჩამოყალიბებას და კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობას. ამასთანავე, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ინკლუზიური, თანასწორი და მხარდამჭერი აკადემიური გარემოს შექმნას, რომელიც ხელმისაწვდომია ყველა სტუდენტისთვის მათი ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით.

სტრატეგიული ინიციატივები

- შედეგებზე დაფუძნებული სწავლების პრინციპების ინტეგრაცია ყველა საგანმანათლებლო პროგრამაში;
- სწავლების, სწავლისა და შეფასების მეთოდების განახლება სტუდენტზე ორიენტირებული და ინტერაქტიული მიდგომების შესაბამისად;
- სასწავლო პროგრამების რეგულარული მოდერნიზაცია საერთაშორისო სტანდარტებისა და შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით;
- კურიკულუმში მომავლის უნარების (კრიტიკული აზროვნება, ციფრული კომპეტენციები, კომუნიკაცია, გუნდური მუშაობა და ლიდერობა) ინტეგრაცია;
- სწავლა-სწავლების ხარისხის შიდა და გარე შეფასების მექანიზმების განვითარება და გაუმჯობესება;
- სტუდენტთა უკუკავშირის სისტემური გამოყენება სწავლების ხარისხის გაუმჯობესების პროცესში;
- აკადემიური პერსონალის პედაგოგიური და პროფესიული განვითარების უწყვეტი მხარდაჭერა;
- სტუდენტური სერვისების (აკადემიური, კარიერული, ფსიქოლოგიური) ინტეგრირებული სისტემის განვითარება;
- სტუდენტთა ჩართულობის გაზრდა აკადემიურ და კურიკულუმგარე აქტივობებში;
- ინკლუზიური განათლების მიდგომების დანერგვა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე სტუდენტთა მხარდაჭერის გაძლიერება;
- თანასწორობის, მრავალფეროვნებისა და ინკლუზიის (EDI) პრინციპების ინტეგრაცია სასწავლო პროგრამებსა და ინსტიტუციურ პრაქტიკაში.

მოსალოდნელი შედეგი

- უნივერსიტეტში სრულად დანერგილი სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების სისტემა;

- სწავლების მაღალი ხარისხი, შესაბამისი საერთაშორისო სტანდარტებთან;
- კურსდამთავრებულთა მაღალი დასაქმების მაჩვენებელი და კონკურენტუნარიანობა;
- სტუდენტთა მაღალი ჩართულობა და კმაყოფილების დონე;
- ინკლუზიური, თანასწორი და მრავალფეროვანი აკადემიური გარემოს ჩამოყალიბება;
- აკადემიური პერსონალის პედაგოგიური კომპეტენციების გაძლიერება.

შეფასების ინდიკატორები (KPI)

- შედეგებზე დაფუძნებული სწავლების (OBE) პრინციპების დანერგვა ყველა საგანმანათლებლო პროგრამაში – 100%;
- სტუდენტთა ჩართულობისა და კმაყოფილების ინდექსი – $\geq 85\%$;
- კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი 12 თვის განმავლობაში – $\geq 90\%$;
- აკადემიური პერსონალის პედაგოგიური განვითარების პროგრამებში ჩართულობა – $\geq 95\%$;
- სტუდენტთა უკუკავშირის გამოყენების ეფექტურობის მაჩვენებელი – $\geq 90\%$;
- სტუდენტური სერვისებით კმაყოფილების დონე – $\geq 90\%$;
- ინკლუზიური განათლების მექანიზმების დანერგვის დონე – 100%.

II. კვლევის ხარისხის, ინოვაციისა და აკადემიური პროდუქტიულობის ზრდა და პრიორიტეტული სამეცნიერო მიმართულებების გაძლიერება

მიზანი:

უნივერსიტეტი მიზნად ისახავს მაღალი დონის სამეცნიერო-კვლევითი ეკოსისტემის განვითარებას, რომელიც უზრუნველყოფს ინოვაციური ცოდნის შექმნას, მის გავრცელებასა და პრაქტიკულ გამოყენებას საზოგადოებრივი და ეკონომიკური გამოწვევების საპასუხოდ. აღნიშნული მიზანი გულისხმობს ინტერდისციპლინური და გამოყენებითი კვლევების გაძლიერებას, საერთაშორისო სამეცნიერო თანამშრომლობის გაფართოებას და კვლევის შედეგების კომერციალიზაციის მხარდაჭერას.

უნივერსიტეტი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ახალგაზრდა მკვლევართა განვითარებას, სადოქტორო განათლების ხარისხის ამაღლებას და კვლევითი საქმიანობის დაფინანსების წყაროების დივერსიფიკაციას. ამასთან, პრიორიტეტულია კვლევითი ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და თანამედროვე ტექნოლოგიური რესურსების დანერგვით კვლევითი პროცესის განვითარების ხელშეწყობა, რაც უზრუნველყოფს მაღალი ხარისხის სამეცნიერო საქმიანობას. მნიშვნელოვანი

მიმართულებაა ასევე კვლევის შედეგების ინტეგრაცია სასწავლო პროცესში და სტუდენტთა აქტიური ჩართულობა სამეცნიერო პროექტებში.

სტრატეგიული ინიციატივები

- ინტერდისციპლინური და გამოყენებითი კვლევების განვითარება და ხელშეწყობა;
- კვლევითი ინფრასტრუქტურის მოდერნიზაცია და თანამედროვე ლაბორატორიული ბაზის გაძლიერება;
- ინოვაციური საქმიანობისა და კვლევითი შედეგების კომერციალიზაციის მექანიზმების განვითარება;
- ახალგაზრდა მკვლევართა და დოქტორანტთა განვითარების მხარდაჭერა;
- საერთაშორისო და ადგილობრივი კვლევითი პარტნიორობების გაფართოება;
- კვლევითი შედეგების ინტეგრაცია სასწავლო პროცესში და სტუდენტთა ჩართულობის გაზრდა;
- გარე კვლევითი დაფინანსების მოზიდვის მექანიზმების განვითარება.

მოსალოდნელი შედეგები

- გაძლიერებული სამეცნიერო-კვლევითი პოტენციალი და ინსტიტუციური კვლევითი კულტურა;
- საერთაშორისო რეფერირებად სამეცნიერო ბაზებში პუბლიკაციების რაოდენობისა და ხარისხის ზრდა;
- ინოვაციური პროდუქტებისა და ტექნოლოგიების შექმნა და მათი პრაქტიკული გამოყენება;
- კვლევითი შედეგების კომერციალიზაციის ეფექტიანი მექანიზმების ჩამოყალიბება;
- საერთაშორისო კვლევითი თანამშრომლობის გაფართოება და უნივერსიტეტის გლობალურ სამეცნიერო სივრცეში ინტეგრაცია;
- ახალგაზრდა მკვლევართა და დოქტორანტთა აქტიური ჩართულობა კვლევით საქმიანობაში.

შეფასების ინდიკატორები (KPI)

კვლევითი პროდუქტიულობის ინდექსი:

- საერთაშორისო რეფერირებად ბაზებში (Scopus, WoS) ინდექსირებული პუბლიკაციების რაოდენობის ზრდა;
- პუბლიკაციების ციტირების მაჩვენებლის ზრდა;
- მაღალი იმპაქტის სამეცნიერო ჟურნალებში გამოქვეყნებული ნაშრომების წილი;

ინოვაციისა და კომერციალიზაციის მაჩვენებლები:

- რეგისტრირებული პატენტებისა და ინოვაციური პროდუქტების რაოდენობა;

- კომერციალიზებული კვლევითი პროექტების რაოდენობა და მათგან მიღებული შემოსავალი;

საგრანტო აქტივობის მაჩვენებლები:

- მოზიდული კვლევითი დაფინანსების მოცულობა;
- განხორციელებული კვლევითი პროექტების რაოდენობა და მათი ბიუჯეტი;
- საერთაშორისო და ადგილობრივ საგრანტო პროგრამებში მონაწილეობის მაჩვენებელი;

კვლევითი პოტენციალის განვითარების ინდექსი:

- დოქტორანტთა რაოდენობა და მათი კვლევითი აქტივობის დონე;
- ახალგაზრდა მკვლევართა ჩართულობა კვლევით პროექტებში;
- საერთაშორისო კვლევით ქსელებსა და კონსორციუმებში ჩართულობის მაჩვენებელი.

III. საზოგადოებრივი ჩართულობის, პარტნიორობისა და სოციალური პასუხისმგებლობის გაფართოება და უნივერსიტეტის საზოგადოებრივ კეთილდღეობაზე ორიენტირებული როლის გაძლიერება

მიზანი:

უნივერსიტეტი მიზნად ისახავს ჩამოყალიბდეს როგორც მაღალი სოციალური პასუხისმგებლობის მქონე აკადემიური ინსტიტუცია, რომელიც აქტიურად მონაწილეობს საზოგადოებრივი გამოწვევების იდენტიფიცირებასა და გადაჭრაში და ქმნის მდგრად სოციალურ ღირებულებას. აღნიშნული მიზანი გულისხმობს საგანმანათლებლო და კვლევითი საქმიანობის საზოგადოებრივი საჭიროებებისადმი მიმართულებას, სოციალური სამართლიანობის პრინციპების განმტკიცებას და მოწყვლადი ჯგუფების მხარდაჭერის მექანიზმების განვითარებას.

უნივერსიტეტი ხელს უწყობს მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის შესაძლებლობების გაფართოებას, საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებას აქტუალურ საკითხებზე და სამოქალაქო საზოგადოებასთან ეფექტიანი თანამშრომლობის გაძლიერებას. ამასთან, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სტუდენტებში სოციალური პასუხისმგებლობისა და აქტიური მოქალაქეობის უნარების განვითარებას, მათ შორის მოხალისეობრივი და საზოგადოებრივად სასარგებლო ინიციატივების მხარდაჭერას.

უნივერსიტეტი ასევე იღებს ვალდებულებას, საკუთარ საქმიანობაში სისტემურად დანერგოს გარემოსდაცვითი მდგრადობის პრინციპები და ხელი შეუწყოს ეკოლოგიურად პასუხისმგებელი პრაქტიკებისა და „მწვანე“ ინიციატივების განვითარებას.

სტრატეგიული ინიციატივები

- მოწყვლადი და სპეციალური საჭიროებების მქონე ჯგუფების მხარდამჭერი პროგრამების განვითარება;
- მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის პროგრამების გაფართოება და ხელმისაწვდომობის გაზრდა;
- საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებისკენ მიმართული საგანმანათლებლო და საინფორმაციო პროექტების განხორციელება;
- სტუდენტური სოციალური და მოხალისეობრივი ინიციატივების მხარდაჭერა და ინსტიტუციონალიზაცია;
- ადგილობრივ და საერთაშორისო საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან პარტნიორობის გაძლიერება;
- გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობისა და მდგრადი განვითარების პრინციპებზე დაფუძნებული პროექტების განხორციელება;
- უნივერსიტეტის სოციალური გავლენის შეფასების მექანიზმების განვითარება.

მოსალოდნელი შედეგები

- გაძლიერებული და სისტემურად განვითარებული სოციალური მხარდაჭერის პროგრამები;
- უნივერსიტეტის აქტიური და ხილვადი ჩართულობა საზოგადოებრივ პროცესებში;
- საზოგადოების მხრიდან ნდობისა და აღიარების ზრდა;
- სტუდენტებში სოციალური პასუხისმგებლობისა და აქტიური მოქალაქეობის გაძლიერება;
- გარემოსდაცვითი და მდგრადი განვითარების პრინციპების ინტეგრაცია უნივერსიტეტის საქმიანობაში;
- უნივერსიტეტის სოციალური გავლენის ზრდა ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე.

შეფასების ინდიკატორები (KPI)

საზოგადოებრივი ჩართულობის ინდიკატორები:

- განხორციელებული სოციალური და საზოგადოებრივი პროექტების რაოდენობა და მასშტაბი;

- სტუდენტთა და პერსონალის ჩართულობის მაჩვენებელი მოხალისეობრივ აქტივობებში;
- საზოგადოებრივ პარტნიორებთან განხორციელებული ერთობლივი ინიციატივების რაოდენობა;

მდგრადი განვითარების ინდიკატორები:

- ენერგო მოხმარების ეფექტიანობის მაჩვენებლების გაუმჯობესება;
- ნარჩენების მართვისა და რესურსების ეფექტიანი გამოყენების მაჩვენებლები;
- „მწვანე“ ინიციატივებისა და ეკოლოგიური პროექტების რაოდენობა;

სოციალური გავლენის ინდიკატორები:

- უნივერსიტეტის საქმიანობის მედია გაშუქების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლები;
- სოციალური პარტნიორობების რაოდენობა და მათი ეფექტიანობა;

გამჭოლი სტრატეგიული პრიორიტეტები

IV. ციფრული შესაძლებლობების განვითარება და მდგრადი ინფრასტრუქტურის უზრუნველყოფა

მიზანი:

უნივერსიტეტი მიზნად ისახავს თანამედროვე ტექნოლოგიების საგანმანათლებლო პროგრამებში და ხელმისაწვდომ სერვის/პლათფორმებზე დანერგვას, ციფრული უნარების ამაღლებას, საჯარო სერვისების გაუმჯობესებასა და ინფორმაციულ უსაფრთხოებას. ეს მიზანი ემსახურება ინკლუზიური ეკონომიკის ფორმირებასა და უზრუნველყოფს საგანმანათლებლო და კვლევითი საქმიანობის ეფექტიანობის ზრდას, რომელიც მოიცავს სწავლა-სწავლების პროცესის ციფრული ტექნოლოგიებით გაუმჯობესებას, ჰიბრიდული და დისტანციური სწავლების შესაძლებლობების განვითარებას,

ადმინისტრაციული პროცესების ავტომატიზაციას და მონაცემებზე დაფუძნებული გადაწყვეტილების მიღების სისტემების დანერგვას.

სტრატეგიული ინიციატივები:

- საგანმანათლებლო პროგრამების ციფრული ტრანსფორმაცია
- ციფრული ინფრასტრუქტურისა და პლატფორმების განვითარება
- თანამედროვე სასწავლო სივრცეების მოწყობა
- კვლევითი ინფრასტრუქტურის მოდერნიზაცია
- მწვანე კამპუსის ინიციატივების დანერგვა

მოსალოდნელი შედეგები:

- განვითარებული ციფრული ინფრასტრუქტურა
- მოდერნიზებული სასწავლო და კვლევითი სივრცეები
- გაუმჯობესებული ადმინისტრაციული პროცესები
- ეკოლოგიურად მდგრადი კამპუსი

შეფასების ინდიკატორები

ციფრული მზაობის ინდიკატორები:

- ციფრული სერვისების გამოყენების მაჩვენებლები
- ონლაინ სწავლების კომპონენტების წილი პროგრამებში
- IT ინფრასტრუქტურის განახლების მაჩვენებლები

ინფრასტრუქტურის განვითარების ინდიკატორები:

- განახლებული სასწავლო სივრცეების რაოდენობა და ხარისხი

- ლაბორატორიული აღჭურვილობის განახლების მაჩვენებლები
- კამპუსის ინფრასტრუქტურის მდგომარეობის შეფასება

ეფექტიანობის ინდიკატორები:

- ადმინისტრაციული პროცესების ავტომატიზაციის დონე
- მომხმარებელთა კმაყოფილების დონე

V. ინტერნაციონალიზაციის გაღრმავება, საერთაშორისო პოზიციონირებისა და ინსტიტუციური მიმზიდველობის ზრდა

მიზანი:

უნივერსიტეტი გეგმავს გახდეს საერთაშორისო დონეზე აღიარებული და მიმზიდველი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც აქტიურად მონაწილეობს გლობალურ აკადემიურ პროცესებში და უზრუნველყოფს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი განათლების მიწოდებას. ეს გულისხმობს საერთაშორისო პარტნიორული ქსელის გაფართოებას, ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებას და სტუდენტთა და პერსონალის მობილობის გაზრდას. უნივერსიტეტი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს საერთაშორისო კვლევით პროექტებში მონაწილეობას, უცხოენოვანი პროგრამებისა და მულტიკულტურული საგანმანათლებლო გარემოს განვითარებას. მიზანია ასევე უნივერსიტეტის ბრენდის გაძლიერება საერთაშორისო დონეზე, რაც მოიხიდავს მაღალი კვალიფიკაციის მქონე საერთაშორისო სტუდენტებს და აკადემიურ პერსონალს. უნივერსიტეტი ასევე მიზნად ისახავს საერთაშორისო რანჟირების სისტემებში პოზიციების გაუმჯობესებას და საერთაშორისო აკრედიტაციების მოპოვებას.

სტრატეგიული ინიციატივები:

- საერთაშორისო აკადემიური პარტნიორობების განვითარება
- სტუდენტთა და პერსონალის მობილობის გაძლიერება
- ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება

- საერთაშორისო ცნობადობის გაზრდა
- უნივერსიტეტის ბრენდინგისა და მარკეტინგის გაძლიერება

მოსალოდნელი შედეგები:

- გაფართოებული საერთაშორისო პარტნიორობა
- გაზრდილი საერთაშორისო მობილობის მაჩვენებლები
- განვითარებული ერთობლივი პროგრამები
- გაძლიერებული საერთაშორისო რეპუტაცია

შეფასების ინდიკატორები:

საერთაშორისო თანამშრომლობის ინდიკატორები:

- საერთაშორისო სტუდენტების გეოგრაფიული მრავალფეროვნება
- საერთაშორისო პარტნიორი ინსტიტუციების რაოდენობა
- ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობა
- საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობის მაჩვენებელი

მობილობის ინდიკატორები:

- გაცვლით პროგრამებში მონაწილე სტუდენტების რაოდენობა
- უცხოელი აკადემიური პერსონალის წილი
- საერთაშორისო სტუდენტების რაოდენობის დინამიკა

საერთაშორისო აღიარების ინდიკატორები:

- საერთაშორისო რეიტინგებში პოზიციის დინამიკა
- საერთაშორისო აკრედიტაციების რაოდენობა
- საერთაშორისო ცნობადობის ზრდის მაჩვენებლები

სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის 2026–2032 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა შეიქმნა სტრატეგიული დაგეგმვის სისტემური მეთოდოლოგიის შესაბამისად, რომელიც ეფუძნება დაინტერესებული მხარეების აქტიურ ჩართულობას - უნივერსიტეტის აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალს, სტუდენტებს, კურსდამთავრებულებს და პარტნიორებს.

პირველი ეტაპი – მოსამზადებელი აქტივობები:

სტრატეგიის შემუშავების მიზნით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელმაც განახორციელა უნივერსიტეტის არსებული მდგომარეობის სისტემური ანალიზი. ჯგუფმა შეისწავლა უნივერსიტეტის მიერ ჩატარებული კვლევები, ქვეყნის განათლებისა და მეცნიერების პოლიტიკა, ადგილობრივი უმაღლესი განათლების სისტემის ტენდენციები, საერთაშორისო გამოცდილება და საუკეთესო პრაქტიკა. პარალელურად, სამუშაო ჯგუფმა შეხვედრები გამართა ფაკულტეტის დეკანებთან, პროგრამების ხელმძღვანელებთან, სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენლებთან და სხვა დაინტერესებულ პირებთან, რათა შეესწავლა მოთხოვნები, არსებული შესაძლებლობები და საერთაშორისო პარტნიორების მოლოდინები.

მეორე ეტაპი – სტრატეგიული პროექტების შემუშავება:

პირველი ეტაპის შედეგების ანალიზის საფუძველზე მომზადდა 2026–2032 წლების შვიდწლიანი სტრატეგიის პროექტი და 2026–2028 წლების სამწლიანი სამოქმედო გეგმის პროექტი, რომლებიც ასახავს უნივერსიტეტის ხედვას, მიზნებსა და პრიორიტეტებს.

მესამე ეტაპი – კონსულტაცია და საბოლოო რედაქცია:

სამუშაო ჯგუფის მიერ მომზადებული პროექტები განხილული იქნა უნივერსიტეტის დაინტერესებულ მხარეებთან – სტუდენტებთან, აკადემიურ პერსონალთან, ადმინისტრაციასთან და დამსაქმებლებთან. მიღებული უკუკავშირის საფუძველზე დოკუმენტი შემუშავდა საბოლოო რედაქციად. ერთხმად გადაწყდა, რომ სტრატეგიის შესრულება პერიოდულად უნდა გადახედოს, საჭიროებისამებრ მოხდეს მისი ადაპტირება რეალური გამოწვევებისა და მიღწეული პროგრესის შესაბამისად, ისე, რომ შედეგები თითოეული დაინტერესებული პირისთვის თანაბრად გამჭვირვალე და სარგებლიანი იყოს.

სტრატეგიული განვითარების გეგმის შესრულების მონიტორინგი:

სტრატეგიის განხორციელების მონიტორინგი ეფუძნება უნივერსიტეტის სტრატეგიული დაგეგმვის პოლიტიკასა და პროცედურებს. მონიტორინგი წარმოადგენს მნიშვნელოვან ინსტრუმენტს, რომელიც

საშუალებას აძლევს უნივერსიტეტს და მისი ძირითადი სტრუქტურული ერთეულებს პერიოდულად შეაფასონ პროგრესი, გაზომონ მიღწეული შედეგები და შეამოწმონ, რამდენად შეესაბამება საქმიანობა სტრატეგიულ მიზნებს.

დანართები:

1. SWOT ანალიზი - დანართი №1
2. სტრატეგიული გეგმის საკვანძო ნიშნულები - დანართი №2
3. სამწლიანი სამოქმედო გეგმა - დანართი №3

წანამდებარე დოკუმენტი მომზადებულია სტრატეგიული დაგეგმარების ჯგუფის მიერ და დამტკიცებულია უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ.

SWOT ანალიზი

S - ძლიერი მხარეები (Strengths)

- საერთაშორისო აკრედიტაციის მქონე საგანმანათლებლო პროგრამები;
- საერთაშორისო პარტნიორების მაღალი ჩართულობით განხორციელებული ქართული და ინგლისურენოვანი მოთხოვნადი საგანმანათლებლო პროგრამები.
- ულტრათანამედროვე საუნივერსიტეტო ინფრასტრუქტურისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის (მათ შორის, კლინიკური უნარ-ჩვევების ლაბორატორიების) ფლობა.
- საკუთარი საუნივერსიტეტო კლინიკური ბაზის („ღია გული - საუნივერსიტეტო ჰოსპიტალი“) ფლობა და საგანმანათლებლო პროცესში სრულფასოვანი ინტეგრაცია.
- აკადემიური პერსონალის მაღალი კვალიფიკაცია და მათი ლოიალობის მაღალი მაჩვენებელი.
- სტუდენტების მაღალი კმაყოფილება;
- მართვისა და ადმინისტრირების შიდა საუნივერსიტეტო სერვისების დიგიტალიზაციის მაღალი ხარისხი.
- პერსონალის მაღალი კმაყოფილება;
- ევროპულ და საერთაშორისო საგანმანათლებლო ქსელებში სრულფასოვანი წევრობა.
- საგანმანათლებლო გარემოში ინკლუზიურობასა და სტუდენტზე ორიენტირებული მიდგომების დანერგვის უზრუნველყოფა.
- სრული წევრობა პრესტიჟულ საერთაშორისო ასოციაციებში (EUA, EUA-CDE, Advance HE, ASPHER).
- კურსდამთავრებულთა დასაქმების მაღალი მაჩვენებელი (75%-ზე მეტი)
- სოციალურად მოწყვლადი სტუდენტების (მ.შ. დევნილების) მხარდაჭერის ძლიერი ფინანსური და საკონსულტაციო მექანიზმები.

W - სუსტი მხარეები (Weaknesses)

- ინგლისურენოვან პროგრამებზე საერთაშორისო აკადემიური პერსონალის მცირე რაოდენობა.
- ბაკალავრიატის საგანმანათლებლო საფეხურზე წარჩინებულ სკოლადამთავრებულ სტუდენტთა მცირე რაოდენობა.
- ახალგაზრდა მკვლევართა პოტენციალის სრულად ათვისების საჭიროება და მათი მეტი ინტეგრაცია საერთაშორისო კვლევებში.
- Erasmus+ მობილობისა და გაცვლითი პროგრამების ფარგლებში მიღებული უცხოელი სტუდენტების დაბალი მაჩვენებელი.
- უნივერსიტეტი არ შედის საერთაშორისო საუნივერსიტეტო რანჟირების გლობალურ სისტემებში.
- სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისა და ინოვაციების შედეგების კომერციალიზაციის დაბალი მაჩვენებელი.
- სტუდენტთა ცნობიერების ამაღლება სოციალური პასუხისმგებლობისა და მოხალისეობრივი ინიციატივების ინსტიტუციური მხარდაჭერის მექანიზმების შემდგომი განვითარების გზით.
- მზარდი კონტინგენტის პირობებში არსებული ელექტრონული რესურსების საჭიროება.

O - შესაძლებლობები (Opportunities)

- საერთაშორისო განათლების ბაზარზე არსებული მზარდი ტენდენცია და უცხოელი სტუდენტების მაღალი მიგრაციული ნაკადები.
- გლობალურ და ადგილობრივ ბაზარზე მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლისა (Lifelong Learning) და სასერტიფიკატო პროგრამების მიმართ მზარდი მოთხოვნა.
- შრომის ბაზარზე მაღალკვალიფიციურ, სპეციალიზებულ ინგლისურენოვან კადრებზე არსებული მზარდი მოთხოვნა.
- ეროვნული და საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების მხრიდან სამეცნიერო-კვლევითი მიზნებისთვის გამოყოფილი დაფინანსების მზარდი მოცულობა.
- საერთაშორისო ფონდების მხრიდან გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობისა და მდგრადი განვითარების ინიციატივების მხარდაჭერის გლობალური ტენდენცია.

- უმაღლესი განათლების სექტორში ჰიბრიდული/დისტანციური სწავლების ტექნოლოგიებისა და ციფრული ინსტრუმენტების განვითარების ტენდენცია.
- უცხოური საგანმანათლებლო ინსტიტუციების მზაობა, დაამყარონ ბინაციონალური (ერთობლივი) და გაცვლითი აკადემიური კავშირები.
- საერთაშორისო აკრედიტაციის, გაცვლითი პროგრამებისა და ორმაგი ხარისხის მქონე საგანმანათლებლო პროგრამებზე მზარდი მოთხოვნები;
- კერძო სექტორის მხრიდან საუნივერსიტეტო ინოვაციების მხარდაჭერისა და გამოყენებითი კვლევების დაფინანსების მიმართ მზარდი გარე ინტერესი.

T - საფრთხეები (Threats)

- უმაღლესი განათლების სფეროში, განსაკუთრებით უცხოელი სტუდენტების მოზიდვისა და საერთაშორისო აღიარების მიმართულებით, არსებული მკაცრი გლობალური კონკურენცია.
- საინფორმაციო სისტემების მასშტაბურ დიგიტალიზაციასთან ერთად, კიბერშეტევებისა და საინფორმაციო საფრთხეების გლობალური ზრდა.
- პერსონალური მონაცემების უსაფრთხოებასთან დაკავშირებული მუდმივი და გამკაცრებული გარე საკანონმდებლო რეგულაციები.
- გლობალური შრომის ბაზრის მოთხოვნებისა და პროფესიული ტენდენციების სწრაფი, არაპროგნოზირებადი ცვალებადობა.
- განათლების სფეროში საკანონმდებლო ინიციატივების გავლენები;

სტრატეგიული გეგმის საკვანძო ნიშნულები

უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრულია სტრატეგიული განვითარების გეგმის შესრულების შეფასების საკვანძო ინდიკატორები, რომლებიც ასახავს სწავლა-სწავლების, სამეცნიერო-კვლევითი და შემოქმედებითი საქმიანობის ეფექტიანობის დონეს. აღნიშნული ინდიკატორები უზრუნველყოფს ინსტიტუციური პროგრესის სისტემურ შეფასებას და ხელს უწყობს მონაცემებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღებას სტრატეგიული მიზნების მიღწევის პროცესში.

სტრატეგიული გეგმის განხორციელების შეფასება ხორციელდება ეტაპობრივად:

- შუალედური შეფასება – 2028 წელს;
- საბოლოო შეფასება – 2032 წელს.

შეფასების პროცესში ხორციელდება დაგეგმილი და მიღწეული შედეგების შედარებითი ანალიზი, რაც შესაძლებელს ხდის პროგრესის ობიექტურად შეფასებას, საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი კორექტირების განხორციელებას და სტრატეგიის ეფექტიანობის ზრდას.

ყველა საკვანძო ინდიკატორი ასახავს შესაბამისი საანგარიშო პერიოდის ბოლოს არსებულ ფაქტობრივ მონაცემებს და ეფუძნება სანდო, დადასტურებად და გამჭვირვალე ინფორმაციულ წყაროებს.

N საკვანძო ნიშნულები	საწყისი	საბოლოო
	მაჩვენებელი	მაჩვენებელი
	2026 წ.	2032 წ.
1. სტუდენტების რაოდენობა	2059	4000
2. უცხოელი სტუდენტთა რაოდენობა	1047	1350
3. ერთიან ეროვნულ/სამაგისტრო გამოცდებზე გამოცხადებულ ვაკანტურ ადგილებზე ჩარიცხული სტუდენტების მაჩვენებელი	67%	75%
4. სტუდენტების აკადემიური მოსწრების მაჩვენებელი	GPA საშუალო 2.08	2.5

5.	სტატუს შეჩერებული სტუდენტების რაოდენობა	1496	≤1300
6.	კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი	83%	≥85%
7.	აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალის საშუალო ასაკი	49	46
8.	აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალის რაოდენობის თანაფარდობა სტუდენტების რაოდენობასთან	1/7	1/6
9.	ავილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობის თანაფარდობა აკადემიური პერსონალის მთლიან რაოდენობასთან	1/2	2/3
10.	დოქტორის წოდების მქონე აკადემიური პერსონალის ოდენობა	70%	≥75%
11.	სტუდენტების საგანმანათლებლო პროგრამით კმაყოფილების საერთო მაჩვენებელი	4.2	4.5
12.	სტუდენტების კმაყოფილების საერთო მაჩვენებელი	4.2	4.5
13.	კურსდამთავრებულთა კმაყოფილების საერთო მაჩვენებელი	4.0	4.5
14.	აკადემიური პერსონალის კმაყოფილების საერთო მაჩვენებელი	4.5	4.5
15.	ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის კმაყოფილების საერთო მაჩვენებელი	4.1	4.5
16.	დამსაქმებელთა კმაყოფილების საერთო მაჩვენებელი	4.0	4.4
17.	გამოქვეყნებული სტატიების რაოდენობის თანაფარდობა ავილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობასთან	1//1	4/3
18.	ჯამურად სამეცნიერო კვლევითი და შემოქმედებით საქმიანობაზე გამოყოფილი ბიუჯეტის თანაფარდობა უნივერსიტეტის ბიუჯეტთან	5/100	9/100
19.	სამეცნიერო კვლევითი და შემოქმედებით საქმიანობაზე გარე წყაროებით მიღებული ბიუჯეტის თანაფარდობა უნივერსიტეტის ბიუჯეტთან	3/100	5/100